ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 577 44 60 40

N 25
27/04/2016

25-08-4-201604271804

განკარგულება

დ. ჩოხატაურში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის „საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის“ საავტომობილო გზის მე-20 კილომეტრში (პკ 9+80-ში) მდინარე სუფსაზე მდებარე შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო ხიდისთვის მერაბ ახობაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების თანახმად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1.
დ. ჩოხატაურში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის „საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის“ საავტომობილო გზის მე-20 კილომეტრში (პკ 9+80-ში) მდინარე სუფსაზე მდებარე შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო ხიდს მიენიჭოს მერაბ ახობაძის სახელი თანდართული რუკის თანახმად;
მუხლი 2.
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3.

განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.

მუხლი 4.
განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა